<u>**დანართი №5**</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ნებადართულია: შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება, არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში, ასევე უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა ან ხსენებული ხელშეკრულების ან მემორანდუმის ფარგლებში, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა **(გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ ანაზღაურებად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობაზე, ასევე სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი)**) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2650 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2120 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1590 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1325 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1060 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 795 ლარი.

3. „ა“ და „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის ანაზღაურება ხორციელდება მათ მიერ შესასრულებელი დატვირთვის შინაარსისა და მოცულობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება (გაიანგარიშება) ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ფაკულტეტის დეკანი აღნიშნულის თაობაზე კალენდარული წლის ბოლოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს დაზუსტებულ წერილობით ინფორმაციას, აკადემიური პერსონალის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს თაობაზე. ხსენებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი სამართლებრივი აქტი.